



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №19
აპრილი, 2021

თბილისი, 2021

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორი:

ნანუკა ყრუაშვილი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №19 ბიულეტენს, სადაც აღწერილია აპრილში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

პოლიტიკური კრიზისი და კომპრომისული შეთანხმება

1-ლ აპრილს შვიდმა წამყვანმა ევროპარლამენტარმა,¹ კრისტიან დანიელსონის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის ხელმოწერაზე პოლიტიკური პარტიების უართან დაკავშირებით, განცხადება გაავრცელა.² წერილის თანახმად, „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის ჩაშლილი მოლაპარაკების გამო, ევროპარლამენტი საქართველოსთვის დამატებითი დახმარების გამოყოფის შეჩერების შესახებ საკითხს დააყენებდა და მაკროფინანსურ და საბიუჯეტო დახმარებათა პროგრამებზე პირობითობის პრინციპის გაზრდას მოითხოვდა.³ განცხადებას შეუერთდა ევროპარლამენტარი მარკეტა გრეგოროვაც, რომელმაც საგანგებოდ აღნიშნა, რომ ევროკავშირი პარტნიორია, და არა ინსტრუმენტი მიზნის მისაღწევად.⁴ ევროპარლამენტის კიდევ ერთი წევრის, რასა იუკნევიჩიანეს განცხადებით, ეს წერილი მთლიანად ევროპარლამენტის პოზიციას ასახავდა.⁵

საიამ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, აშშ-ის სენატორებს, საქართველოში არსებული კრიზისის დასაძლევად, აშშ-ის მეტი ჩართულობისკენ მოუწოდა.⁶ ამ განცხადებით, ორგანიზაციებმა სენატორებს ხუთი მიზნის მიღწევაში სთხოვეს დახმარება:

1. აშშ-ს ცხადად უნდა გამოეხატა თავისი პოზიცია, რომ სტატუს კვო, ანუ, ფაქტობრივად, ერთპარტიული პარლამენტი შეუთავსებელი იყო ევროატლანტიკური თანამეგობრობის წევრობასთან;

¹ დავიდ მაკალისტერი (EPP, გერმანია), ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, მარინა კალიურანდი (S&D, ესტონეთი), ანდრიუს კუბილიუსი (EPP, ლიეტუვა), ვიოლა ფონ კრამონ-ტუბადელი (მწვანეები, გერმანია), სვენ მიკსერი (S&D, ესტონეთი), მიჰაელ გალერი (EPP, გერმანია), პეტრას აუსტრევიჩიუსი (განახლებული ევროპა, ლიეტუვა). იხ. „Georgia: Leading MEPs react to the refusal of the political parties to reach an agreement“, European Parliament, 2021 წლის 1-ლი აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RoULyN>, განახლებულია: 20.05.2021.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ „მარკეტა გრეგოროვაც განცხადებით, თუ საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ 7 ევროპარლამენტარის განცხადება საკმარისი არ არის, ის მე-8 იქნება, ვინც ამ განცხადებას შეუერთდება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 2 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3f4X6rw>, განახლებულია: 20.05.2021.

⁵ „რასა იუკნევიჩიანე - 7 ევროპარლამენტარის განცხადების უკან ყველა ჩვენგანი ვდგავართ, მათ შორის იმ წინადადების უკან, რაც ევროკავშირის ფინანსურ დახმარებას და თანამშრომლობის შესაძლო შეწყვეტას ეხება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 7 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wm8Wn6>, განახლებულია: 20.05.2021.

⁶ „არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში არსებული კრიზისის დასაძლევად აშშ-ის მეტი ჩართულობისთვის სენატორებს წერილით მიმართავენ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2021 წლის 13 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RqrCTW>, განახლებულია: 20.05.2021.

2. კრიზისის დეესკალაცია უნდა მომხდარიყო ნიკა მელიას და გიორგი რურუას პატიმრობიდან განთავისუფლებისა და საქმეების შეჩერების გზით, რომლებიც მომავალში რეფორმირებულ სასამართლოს უნდა განეხილა;
3. აშშ-ს მკაფიოდ უნდა მოეთხოვა სასამართლო და საარჩევნო რეფორმების განხორციელება. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს წევრების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების, ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების დასანიშნად საჭირო უნდა ყოფილიყო ოპოზიციის თანხმობა. როგორც საპარლამენტო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო პროპორციული სისტემით, ბუნებრივთან მიახლოებული ბარიერით. ამ სისტემური ცვლილებების გატარება 2021 წლის საგაზაფხულო სესიაზე უნდა დაწყებულიყო;
4. უნდა წახალისებულიყო ძალაუფლების განაწილება სხვადასხვა ინსტიტუტში, მათ შორის, პარლამენტში;
5. მას შემდეგ, რაც მმართველი პარტია ქართველი ხალხისა და საერთაშორისო პარტნიორების წინაშე აიღებდა ამ ვალდებულებებს, ოპოზიციას უნდა დაეკავებინა 2020 წლის არჩევნებში მიღებული ადგილები პარლამენტში, ჩართულიყო ინსტიტუციონალიზებულ პოლიტიკურ პროცესში და მონაწილეობა მიეღო ზემოაღწერილი რეფორმების შემუშავებასა და განხორციელებაში.⁷

12 აპრილს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე, სამუშაო ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრა.⁸ ვიზიტის ფარგლებში ის შეხვდა სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეს ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, ჯორჯ კენტს, სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრს, სენატორ ჯიმ რიშს, ასევე წარმომადგენელთა პალატაში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეებს, კონგრესმენებს - ჯერალდ კონოლის და ადამ კინზინგერს.⁹ შეხვედრებზე განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისი იყო.¹⁰

16 აპრილს პოლიტიკურმა პარტია „ლელომ“ ორშაბათს პარლამენტის შენობაში მისვლა დააანონსა.¹¹ ამავე დღეს „ქართულმა ოცნებამ“ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის კრისტიან დანიელსონის მიერ შემოთავაზებულ დოკუმენტს ხელი მოაწერა.¹² ზოგმა ოპოზიციურმა პარტიამ უარი განაცხადა ხელის მოწერაზე, ვინაიდან „დოკუმენტი არ მოიცავდა ვადამდელი არჩევნების დანიშნის საკითხს, ასევე, ბუნდოვანი [იყო] პოლიტიკური პატიმრების ბედიც“.¹³

ევროპული საბჭოს პრეზიდენტის ახალი დოკუმენტი პოლიტიკური კრიზისის გადასაჭრელად

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა გადაწყვიტა პოლიტიკური კრიზისის მოსაგვარებლად მხარეებისთვის ახალი დოკუმენტი წარედგინა.¹⁴ ახალი კომპრომისული

⁷ იქვე.

⁸ „აშშ-ში ვიზიტით მყოფი ირაკლი კობახიძე ოპოზიციასთან კომპრომისზე საუბრობს“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 15 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/413244>, განახლებულია: 20.05.2021.

⁹ იქვე.

¹⁰ „აშშ-ში გვესმის მინიშნება, რომ „ოცნებას“ სჭირდება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა – კობახიძე“, *საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“*, 2021 წლის 15 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/535322/>, განახლებულია: 20.05.2021.

¹¹ „ვახტანგ მეგრელიშვილი - ინიციატივა, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გამოიჩინა, მისასაღმებელია - თუ შეთანხმება მოხდა, ჩვეულებრივად შევდივართ, როგორც სრულფასოვანი პარლამენტის წევრები“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 16 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tYnpnu>, განახლებულია: 20.05.2021.

¹² „ქართულმა ოცნებამ“ დანიელსონის დოკუმენტს ხელი მოაწერა“, *საინფორმაციო პორტალი „ფორმულა“*, 2021 წლის 16 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2SejkOE>, განახლებულია: 20.05.2021.

¹³ ეს პარტიები იყვნენ: „მეტი თავისუფლება - გირჩი“, „ევროპული საქართველო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ლელო საქართველოსთვის“ და „ნაციონალური მოძრაობა“. იხ. იქვე.

¹⁴ „შარლ მიშელი პოლიტიკური კრიზისის მოსაგვარებლად ახალ დოკუმენტს წარმოადგენს“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/413780>, განახლებულია: 20.05.2021; „ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის/ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტის პრესსპიკერისა და აშშ-ის სახელმწიფო

შეთანხმება საჯაროდ ხელმისაწვდომი 19 აპრილს გახდა.¹⁵ შეთანხმების პირველი ვერსიისგან ამ დოკუმენტს რამდენიმე პუნქტი განასხვავებდა, მათ შორის, ის ორი საკითხი, რომლებმაც ოპოზიციურ პარტიებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, კერძოდ:

1. დაკონკრეტდა რეაგირების ზომები პოლიტიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ ორ საკითხზე. რეაგირების მექანიზმი ამნისტია ან/და ისეთი ზომები უნდა ყოფილიყო, რომელიც ანალოგიურ შედეგს მოიტანდა;
2. განისაზღვრა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან/და პროფესიული წევრების არჩევისას ჩიხური სიტუაციის წარმოქმნის საწინააღმდეგო მექანიზმი;
3. ჩამოყალიბდა მომავალი გენერალური პროკურორების არჩევისას ჩიხური სიტუაციის წარმოქმნის საწინააღმდეგო მექანიზმი;
4. და ბოლოს, დოკუმენტის მიხედვით, ქართული ოცნების 2021 წლის 16 აპრილის შეთავაზების შესაბამისად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 2022 წელს იმ შემთხვევაში დაინიშნებოდა, თუ 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია „ქართული ოცნება“ ნამდვილი პროპორციული ხმების 43% -ზე ნაკლებს მიიღებდა.¹⁶

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 19 აპრილს ბრიფინგი გამართა, სადაც კრიტიკულად შეაფასა მმართველი პარტიის არაერთი ქმედება, რითაც მან პრეზიდენტის ნებართვისა და თანხმობის გარეშე, მისივე სახელი ერთი კონკრეტული პირის შეწყალების აქტს დაუკავშირა.¹⁷ პრეზიდენტმა საგანგებოდ მიუთითა, რომ შეწყალების გადაწყვეტილება არ ექვემდებარებოდა ზენოლას, მითითებებსა და მოთხოვნებს, არც „ქართული ოცნებისგან“ და არც ოპოზიციისგან. ამის გათვალისწინებით, ქვეყნის პირველმა პირმა აღნიშნა, რომ, თუკი მმართველი პარტია და ოპოზიცია ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ ახალ კომპრომისულ წინადადებას ხელს მოაწერდნენ, იგი „მთავარი არხის“ ერთ-ერთ მენილეს გიორგი რურუას შეინყალებდა.¹⁸

პარლამენტის ყველა წევრს ახალ დოკუმენტზე ხელმოწერისკენ მოუწოდეს ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის/ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტისა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერებმა.¹⁹

იგივე გააკეთა საიამ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად 19 აპრილს.²⁰ **ორგანიზაციების შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი ბოლომდე არ ასახავდა ჩართული მხარეების ყველა მოთხოვნასა და ინტერესს, კომპრომისი სწორედ ასეთ შეუთანხმებელ საკითხებზე დათმობასა და კონსენსუსის მიღწევას გულისხმობდა.**²¹

დეპარტამენტის პრესსპიკერის ერთობლივი განცხადება ევროკავშირის მედიაცენტრთან დაკავშირებით“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3v4d9vb>, განახლებულია: 20.05.2021.

¹⁵ „ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი აქვეყნებს ახალ წინადადებას, რომელიც მან დღეს საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შესთავაზა“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fAh8JI>, განახლებულია: 20.05.2021.

¹⁶ „სამომავლო გზა საქართველოსთვის“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3frBggU>, განახლებულია: 20.05.2021.

¹⁷ „პრეზიდენტი გიორგი რურუას შეინყალებს, თუ მხარეები კომპრომისს მიაღწევენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/414040>, განახლებულია: 20.05.2021.

¹⁸ იქვე.

¹⁹ „ევროკავშირი და აშშ - მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტის ყველა წევრს, ხელი მოაწეროს შეთანხმებას, რომელიც დღეს შარლ მიშელის მიერ იქნება შეთავაზებული“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 18 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3u8pLQK>, განახლებულია: 20.05.2021.

²⁰ განცხადებაზე ხელი მოაწერა: საიამ, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2021 წლის 13 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yof141>, განახლებულია: 20.05.2021.

²¹ იქვე.

ევროკავშირის ახალ კომპრომისულ დოკუმენტზე ხელის მოწერა

19 აპრილს ორბელიანების საპრეზიდენტო სასახლეში ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის მიერ შემოთავაზებულ კომპრომისულ წინადადებას, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, ხელი მოაწერა ოპოზიციის 16-მა წარმომადგენელმა.²²

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა და მასპინძლის - პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის გარდა, ცერემონიას ესწრებოდნენ ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი და აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი, ხოლო ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი შეხვედრას ბრიუსელიდან ერთვებოდა.²³

პოლიტიკური პარტიების მიერ დოკუმენტზე ხელის მოწერა დადებითად შეაფასეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა და აშშ-ის საელჩომ საქართველოში.²⁴ სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერ ნედ პრაისის განცხადებით, ეს ნაბიჯი ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარების მნიშვნელოვან პროგრესზე მიუთითებდა.²⁵

20 აპრილს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი საქართველოს ესტუმრა.²⁶ ვიზიტის ფარგლებში ის „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს პარლამენტში შეხვდა.²⁷ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი და აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი.²⁸ შეხვედრის შემდეგ შარლ მიშელმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ დოკუმენტზე ხელმოწერა საკმარისი არ იყო. მისი აზრით, შეთანხმებაში ნახსენები საარჩევნო, სასამართლო და კანონის უზენაესობის რეფორმების გასატარებლად მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკურ პარტიებსა და მთავრობას შორის თანამშრომლობა.²⁹

პოლიტიკური პარტიების მიერ ევროკავშირის დოკუმენტზე ხელმოწერას მიესალმნენ ევროპარლამენტარებიც - მარინა კალიურანდი, სვენ მიკსერი და ვიოლა ფონ კრამონ ტაუბადელი.³⁰ ამავე განცხადებაში მათ ბოიკოტის რეჟიმში დარჩენილ პარტიებსა და დეპუტატებს კომპრომისული დოკუმენტის ხელმოწერისკენ მოუწოდეს.³¹

²² ოპოზიციიდან დოკუმენტს ხელი მოაწერა: სალომე სამადაშვილმა (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მან დოკუმენტს ხელი მოაწერა, როგორც ინდივიდუალურმა დეპუტატმა), ხათუნა სამნიძემ (რესპუბლიკური პარტია), დავით ბაქრაძემ (ევროპული საქართველოს ყოფილი თავმჯდომარე), შალვა შავგულიძემ და არმაზ ახვლედიანმა (ევროპული საქართველო), მამუკა ხაზარაძემ (ლელო საქართველოსთვის), ბადრი ჯაფარიძემ (ლელო საქართველოსთვის), დავით უსუფაშვილმა (ლელო საქართველოსთვის), ანა ნაცვლიშვილმა (ლელო საქართველოსთვის), გიორგი ვაშაძემ (სტრატეგია აღმაშენებელი), პაატა მანჯგალაძემ (სტრატეგია აღმაშენებელი), თეონა აქუბარდიამ (სტრატეგია აღმაშენებელი), ზურაბ ჯაფარიძემ (გირჩი – მეტი თავისუფლება), იაგო ხვიჩიამ (გირჩი), ვახტანგ მეგრელიშვილმა (გირჩი), ალექსანდრე რაქვიაშვილმა (გირჩი). „ქართულმა ოცნებამ და ოპოზიციის ნაწილმა ევროკავშირის კომპრომისულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/414264>, განახლებულია: 20.05.2021.

²³ იქვე.

²⁴ „აშშ მიესალმება მხარეებს შორის 19 აპრილის შეთანხმებას“, *საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“*, 2021 წლის 20 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/414389>, განახლებულია: 20.05.2021.

²⁵ Ned Price, Twitter post, 20 April 2021, 3:06 AM, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3v6qkf9>, განახლებულია: 20.05.2021.

²⁶ „შარლ მიშელი უკვე საქართველოშია“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 20 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3v4oSkv>, განახლებულია: 20.05.2021.

²⁷ „შარლ მიშელი „ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციის წარმომადგენლებს პარლამენტში ხვდება“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 20 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RwaFqU>, განახლებულია: 20.05.2021.

²⁸ იქვე.

²⁹ „შარლ მიშელი - მაქვს განცდა, რომ შეთანხმებას სხვებიც შემოუერთდებიან, შეთანხმება გახდება ათვლის წერტილი მეტი თავაზიანობისთვის, მეტი სტაბილურობისთვის, რეალური და ძლიერი პოლიტიკური ნებისთვის“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 20 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yoz5U3>, განახლებულია: 20.05.2021.

³⁰ „Joint statement by Ms KALJURAND, Mr MIKSER and Ms VON CRAMON TAUBADEL, on the resolution of the political crisis in Georgia“, European Parliament, 2021 წლის 21 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2S7Hpqw>, განახლებულია: 20.05.2021.

³¹ იქვე.

ამერიკელმა სენატორებმა - რონ ჯონსონმა, ჯინ შაჰინმა და ჯიმ რიშმა აშშ-ის სენატში წარადგინეს რეზოლუცია, რომელიც „ქართულ ოცნებას“, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და პარლამენტში არჩეულ სხვა პარტიებს მოუწოდებდა, სრულად შეესრულებინათ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მიერ შემოთავაზებული შეთანხმება.³² ამ რეზოლუციით სენატორებმა დეპუტატებს მიმართეს, რომ პარლამენტში საკუთარი ადგილები დაეკავებინათ.³³ გარდა ამისა, რეზოლუცია ხელისუფლებას, ვენეციის კომისიისა და სხვა ექსპერტების რეკომენდაციების შესრულებით, სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფი სისტემური რეფორმების გატარებისკენ მოუწოდებს.³⁴

ოპოზიციურ პარტიებში აზრთა სხვადასხვაობა შარლ მიშელის ახალ დოკუმენტთან დაკავშირებით

ახალ კომპრომისულ შეთანხმებაზე ხელის მონერის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ოპოზიციური პარტიების ლიდერებს.³⁵ მაგალითად, სალომე სამადაშვილმა ევროკავშირის დოკუმენტს ხელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან“ დამოუკიდებლად მოაწერა.³⁶ მან აღნიშნა, რომ „ამ გაუგებრობაში“ მისი ადგილი აღარ [იყო], და პარტიის სახელით პოლიტიკური საქმიანობისგან დროებით ტაიმ-აუტი აიღო.“³⁷ „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარემ, გიგა ბოკერიაშვილმა შეთანხმებაზე ხელი არ მოაწერა, ვინაიდან, მისი აზრით, დოკუმენტი „სრულად ვერ პასუხობ[და]“ ოპოზიციის მოთხოვნებს.³⁸ საარჩევნო ბლოკ - „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელში“ შემავალი პარტიის, „კანონი და სამართლის დამფუძნებელმა“, თაკო ჩარკვიანმა ხელმოწერაზე უთანხმოების გამო ბლოკი დატოვა.³⁹ მოძრაობის, „დროა“, დამფუძნებელმა, ელენე ხოშტარიაშვილმა განაცხადა, რომ შარლ მიშელის მიერ პარტიებისთვის შეთავაზებული განახლებული დოკუმენტი კრიზისის გადაჭრის გზა არ იყო.⁴⁰ ამასთანავე, ის არ აპირებდა „ევროპული საქართველოს“ პარტიული სიით მოპოვებული სადეპუტატო მანდატის გამოყენებას, ვინაიდან, მან პარტია დატოვა და შესაბამისად, მანდატიც პარტიას ეკუთვნოდა.⁴¹ დოკუმენტზე ხელმოწერების მიმართ უკმაყოფილება გამოთქვა ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმაც.⁴²

27 აპრილს პარლამენტის პლენარული სხდომა პოლიტიკურ შეთანხმებაზე ხელმოწერი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა.⁴³ მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის დოკუმენტს ხელი მოაწერეს გიორგი ვაშაძემ და დავით ბაქრაძემ, ისინი სხდომას არ

³² “Urging all parties in Georgia to seek prompt implementation of the agreement signed on April 19, 2021, and reaffirming the support of the Senate for Georgia, the territorial integrity of Georgia, and the aspirations of Georgians to join the Euro-Atlantic community”, 117TH Congress, 1ST Session S. RES. 176, U.S. Senate Official web-page, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3v6yxjp>, განახლებულია: 20.05.2021.

³³ იქვე.

³⁴ იქვე, გვ. 5.

³⁵ „ევროკავშირის კომპრომისულ წინადადებაზე ხელმოწერის გამო ოპოზიციის აზრთა სხვადასხვაობა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 23 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/415423>, განახლებულია: 20.05.2021.

³⁶ იქვე.

³⁷ იქვე.

³⁸ იქვე.

³⁹ „ქართულმა ოცნებამ და ოპოზიციის ნაწილმა ევროკავშირის კომპრომისულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/414264>, განახლებულია: 20.05.2021.

⁴⁰ „ელენე ხოშტარია დეპუტატის მანდატის გამოყენებას არ აპირებს“, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 2021 წლის 19 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/536404/>, განახლებულია: 20.05.2021.

⁴¹ იქვე.

⁴² „ევროკავშირის კომპრომისულ წინადადებაზე ხელმოწერის გამო ოპოზიციის აზრთა სხვადასხვაობა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“.

⁴³ „პარლამენტის პლენარული სხდომა პოლიტიკურ შეთანხმებაზე ხელმოწერი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა ჩართულობით გაიმართა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 27 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wqXKWI>, განახლებულია: 20.05.2021.

დასწრებიან.⁴⁴ მოლაპარაკებებში ჩართული ოთხი პარტია - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „პატრიოტთა ალიანსი“ და „ლეიბორისტული პარტია“ შარლ მიშელის მიერ შემოთავაზებულ დოკუმენტს არ შეუერთდა.⁴⁵

ამავე დღეს, ევროკავშირის კომპრომისული შეთანხმების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გიორგი რურუას შეწყალების აქტს ხელი მოაწერა და რურუამ სასჯელაღსრულების დანესებულება დატოვა.⁴⁶

ნიკა მელიას საქმე და ამნისტიის კანონპროექტი

21 აპრილს პარტია „ლელოს“ ლიდერები – მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და გრიგოლ გეგელია, სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრნენ.⁴⁷ ვიზიტის ფარგლებში მათ ევროპარლამენტარებს შესთავაზეს, ნიკა მელიას თავდებში ჩასდგომოდნენ, რათა დაუყოვნებლივ შეცვლილიყო აღკვეთის ღონისძიება და ის პატიმრობიდან გაეთავისუფლებინათ.⁴⁸ ამ შემოთავაზებას მხარი დაუჭირეს ოპოზიციურმა პარტიებმა, თუმცა ეჭვი გამოთქვეს, რომ „ქართული ოცნება“ მას არ მიიღებდა.⁴⁹ „ქართული ოცნების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივანმა შალვა პაპუაშვილმა ლელოს შემოთავაზებას „არასერიოზული“ უწოდა, ვინაიდან იგი შეთანხმების სულისკვეთებას ძირს უთხრიდა.⁵⁰

26 აპრილს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნიკა მელიამ განაცხადა, რომ ის დათანხმდებოდა ევროპარლამენტარების მიერ შემოთავაზებულ გირაოს, თუ ხელისუფლება უარს იტყოდა ამნისტიის კანონპროექტის რეგისტრაციაზე.⁵¹ მელიას აზრით, ამნისტიის კანონით მმართველი პარტია აპირებდა ყველა იმ პირის გათავისუფლებას, რომელთაც ბრალი ედებოდათ ამავე საქმეზე. მათ შორის იყვნენ „დამნაშავე“ სამართალდამცველები და „ბრძანების გამცემები“.⁵²

აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგანმა აღნიშნა, რომ ამნისტიის კანონი „არ გამოირიცხავდა პასუხისმგებლობას მაშინდელ მოვლენებზე, თუმცა ქვეყანას ნინსვლის საშუალებას აძლევდა“.⁵³ გარდა ამისა, მან მიუთითა, რომ შეთანხმება მოიცავდა ნიკა მელიას გათავისუფლების მექანიზმს, თუმცა, რა თქმა უნდა, ციხის დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მელიას შეეძლო.⁵⁴

„ქართული ოცნების“ წევრის შალვა პაპუაშვილის განმარტებით, ევროკავშირის მიერ გირაოს გადახდის შემთხვევაში, ნიკა მელიას ნებისმიერ დროს შეეძლო საპატიმროს დატოვება, თუმცა ამაზე უარის თქმაც მისი გადასაწყვეტი იყო.⁵⁵ რაც შეეხება ამნისტიის კანონს, ის არა მხოლოდ

⁴⁴ „ოპოზიციის დეპუტატების ნაწილი პარლამენტში შევიდა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 27 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/416446>, განახლებულია: 20.05.2021.

⁴⁵ „პარლამენტის პლენარული სხდომა პოლიტიკურ შეთანხმებაზე ხელმომწერი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა ჩართულობით გაიმართა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი.

⁴⁶ „გიორგი რურუამ საპატიმრო დატოვა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 27 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fz1vBX>, განახლებულია: 20.05.2021.

⁴⁷ „ლელო საქართველოსთვის“ ოფიციალური „Facebook“ გვერდი, 2021 წლის 22 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QAMKq3>, განახლებულია: 20.05.2021.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ „19 აპრილის შეთანხმება: მელიას გათავისუფლების მექანიზმები დავის საგანი გახდა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 23 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3v8wMSQ>, განახლებულია: 20.05.2021.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ ნიკა მელიას განცხადება, ნიკა მელიას ოფიციალური Facebook-გვერდი, 2021 წლის 26 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/Nika.Melia5/posts/3024667907768020>, განახლებულია: 20.05.2021.

⁵² „მელია მზად არის ევროკავშირის გირაოს დათანხმდეს, თუ ამნისტიის კანონპროექტს გაითხოვენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 26 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/417950>, განახლებულია: 20.05.2021.

⁵³ „Ambassador Kelly Degnan’s Remarks to Media in Marneuli“, U.S. Embassy in Georgia, Official web-page, 22 April 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fz1rSj>, განახლებულია: 20.05.2021.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ „შალვა პაპუაშვილი - ევროკავშირში რეგისტრირებული ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია გადაიხდის გირაოს

ნიკა მელიას, არამედ 20 ივნისთან დაკავშირებულ სხვა საქმეებსაც მოიცავდა.⁵⁶ ეს დაადასტურა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ანრი ოხანაშვილმაც.⁵⁷ მან ასევე განმარტა, რომ ამნისტია არ გავრცელდებოდა დანაშაულებზე, როგორცაა ნამება, ნამების მუქარა, არაადამიანური მოპყრობა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.⁵⁸

21 აპრილს საიამ პარტიებს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული შეთანხმების საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღსრულებისკენ მოუწოდა.⁵⁹ კერძოდ, ორგანიზაციის აზრით, დაუშვებელია ამნისტიის/შენწყალების გამოყენება სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ ჩადენილ სერიოზულ დანაშაულებთან მიმართებით, მათ შორის, არაადამიანური/დამამცირებელი მოპყრობის დროს.⁶⁰

მსგავსი განცხადებები გააკეთეს ოპოზიციური პარტიების ლიდერებმაც. მათი თქმით, დაუშვებელი იქნებოდა ამნისტიის იმ პირებზე გავრცელება, რომლებმაც 20 ივნისს პირებს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება მიაყენეს და არაადამიანური მოპყრობა ჩაიდინეს.⁶¹ ამასთანავე, ამნისტიის კანონს უნდა გაეთვალისწინებინა დაზარალებულების ინტერესები.⁶²

„ქართული ოცნების“ და ოპოზიციის ავტორობით ამნისტიის ორი ალტერნატიული კანონპროექტი პარლამენტში 28 აპრილს დარეგისტრირდა.⁶³ ოპოზიციის კანონპროექტის მიხედვით, 20 ივნისის საქმეებში ფიგურანტ პოლიციელებზე ამნისტია იმ დათქმით გავრცელდებოდა, თუ დაზარალებულად ცნობილი პირები ამის შესახებ თანხმობას გამოთქვამდნენ.⁶⁴ ამასთანავე, პროექტის თანახმად, მოქალაქეების მიმართ ამნისტიის გამოყენებაზე პოლიციელების თანხმობა საჭირო არ იქნებოდა.⁶⁵

და ნიკა მელიას შეეძლება ნებისმიერ მომენტში გამოვიდეს - უარი თუ თქვა, ეს მისი გადასაწყვეტია“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 20 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Sc1mww>, განახლებულია: 20.05.2021.

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ „ანრი ოხანაშვილი განმარტავს, რას ითვალისწინებს „ქართული ოცნების“ მიერ მომზადებული ამნისტიის კანონპროექტი“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 27 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QAcW45>, განახლებულია: 20.05.2021.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ „საია მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, არ დაუშვან კანონპროექტის ინიცირება, რომელიც მიზნად ისახავს ამნისტიის გავრცელებას 2019 წლის 20-21 ივნისს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2021 წლის 21 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3u3Xbjx>, განახლებულია: 20.05.2021.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ „ზურაბ ჯაფარიძე - არავინ აპირებს, რომ ამნისტია ჯალათებს შეეხოს“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 25 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Sbc1au>, განახლებულია: 20.05.2021; „ანა ნაცვლიშვილი - ამოცანაა შეთანხმების შესრულება, მაგრამ რაზეც შევთანხმდებით ვერ და არ იქნება ისეთი შინაარსის, რომელიც დაზარალებულების ღირსებას და უფლებებს გადააბიჯებს“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 25 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3v6qK5d>, განახლებულია: 20.05.2021; „ზადრი ჯაფარიძე - ამნისტია ვერ და არ გავრცელდება პირებზე, რომლებიც შესაძლოა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების უკან იყვნენ - დაზარალებულის თანხმობა ყველა შემთხვევაში საჭირო იქნება“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 25 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Ry6xH1>, განახლებულია: 20.05.2021.

⁶² „ანა ნაცვლიშვილი - ამოცანაა შეთანხმების შესრულება, მაგრამ რაზეც შევთანხმდებით, ვერ და არ იქნება ისეთი შინაარსის, რომელიც დაზარალებულების ღირსებას და უფლებებს გადააბიჯებს“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*.

⁶³ „პარლამენტში ამნისტიის შესახებ „ქართული ოცნების“ კანონპროექტი უკვე დარეგისტრირდა“, *საინფორმაციო პორტალი „პუბლიკა“*, 2021 წლის 28 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3f1TFBL>, განახლებულია: 20.05.2021; „პარლამენტში ოპოზიციის მიერ მომზადებული ამნისტიის შესახებ კანონპროექტი დარეგისტრირდა“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 28 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2S8oEU2>, განახლებულია: 20.05.2021.

⁶⁴ „ამნისტიის შესახებ“ ოპოზიციის კანონპროექტით, რომელიც პარლამენტში უკვე დარეგისტრირდა, ამნისტია არსებულ ბრალდებებს შეეხება“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 28 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wiz7eg>, განახლებულია: 20.05.2021.

⁶⁵ იქვე; „ოპოზიციის „ამნისტიის პროექტის“ შინაარსი ცნობილია“, *საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“*, 2021 წლის 28 აპრილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oCF2YT>, განახლებულია: 20.05.2021.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის საარჩევნო რეფორმის მხარდასაჭერი შეხვედრები

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ინიციატივით, საქართველოში საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით, ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობით ჩატარდა შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა საარჩევნო რეფორმის მხარდაჭერას. 18-19 აპრილს გაიმართა საარჩევნო დიალოგის პირველი შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც დამსწრეებმა განიხილეს საარჩევნო რეფორმის სამუშაო ვერსია და ალტერნატიული რეკომენდაციები. 24-25 აპრილს გაიმართა საარჩევნო დიალოგის მეორე შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განიხილეს ელექტრონული ხმის მიცემის საკითხები, შემოთავაზებული ვერსიები და რეკომენდაციები. შეხვედრებს მოდერაციას უწევდნენ IRI-ის დირექტორი, ჯონ დიპირო და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) დირექტორი, ნინო დოლიძე. შეხვედრებს ესწრებოდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები: ISFED-ი, საია, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, კარგი მმართველობის ინსტიტუტი და მრავალეროვანი საქართველო. პოლიტიკური პარტიებიდან შეხვედრებს ესწრებოდნენ: „მოქალაქეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „გირჩი“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“, „ლეიბორისტული პარტია“, „რესპუბლიკური პარტია“ და „ლელო საქართველოსთვის“. ორგანიზაცია შეხვედრების სერიის გაგრძელებას მომდევნო თვეშიც გეგმავს. შეხვედრებზე, საიამ, საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით, თავისი რეკომენდაციები წარადგინა.⁶⁶ საბოლოოდ, განსაზღვრულია საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით რეკომენდაციების დოკუმენტის შემუშავება.

ვენეციის კომისიის და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის ერთობლივი სასწრაფო მოსაზრება საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ვენეციის კომისიამ და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ეუთო/ოდირი) 30 აპრილს გამოაქვეყნეს ერთობლივი სასწრაფო მოსაზრება საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე.⁶⁷ დოკუმენტი მოიცავს საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებული კანონპროექტის ანალიზსა და შესაბამის რეკომენდაციებს. დასკვნაში ცალკეული თავები ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორცაა: საკანონმდებლო სტაბილურობა; საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება; ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება; კენჭისყრის დღეს „აგიტაციის“ რეგულირება; შემაჯამებელ ოქმებში ცვლილებების შეტანა და შედეგების გადათვლა; საჩივრები; ადგილობრივი საარჩევნო სისტემა; ელექტრონული ხმის მიცემა და ხმების დათვლა.⁶⁸

დასკვნის თანახმად, მოცემული ინიციატივა არ იყო კანონმდებლობის სრულფასოვანი ანალიზის შედეგი, არამედ მიზნად ისახავდა იმ პოლიტიკური ჩიხის დაძლევას, რომელიც 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად წარმოიშვა.⁶⁹

⁶⁶ რეკომენდაციები დეტალურად იხ. ნანუკა ყრუაშვილი, *საინფორმაციო ბიულეტენი №18, მარტი 2021*, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 7-8, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2SbFoti>, განახლებულია: 20.05.2021.

⁶⁷ Venice Commission, OSCE/ODIHR, *Joint Urgent Opinion on Draft Amendments to the Election Code*, CDL-PI(2021)005(Strasbourg: Council of Europe, 2021), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hFOk4R>, განახლებულია: 20.05.2021.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ იქვე, para. 12.

ორგანიზაციებმა ყურადღება გაამახვილეს საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობის აუცილებლობაზე, რაც საარჩევნო პროცესებში საზოგადოების ნდობის წინაპირობაა.⁷⁰ დასკვნის მიხედვით, საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხებში ცვლილებები შემდგომ არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე უნდა შევიდეს.⁷¹ ცვლილებების ხშირი დანერგვა, როგორც ეს საქართველოშია, საარჩევნო პროცესის სანდოობას და დემოკრატიის კონსოლიდაციის მცდელობას რისკის ქვეშ აყენებს.⁷²

ანგარიშის მიხედვით, ცესკოს დაკომპლექტებისას, როგორც თავმჯდომარის, ისე რვა დამოუკიდებელი წევრის არჩევისას, ფართო კონსენსუსის მიღწევის მიზნით, რეკომენდებულია კვალიფიციური (ე.წ. ორი-მესამედი) საპარლამენტო უმრავლესობის ან ორმაგი უმრავლესობის (მმართველი პარტიის დეპუტატების და ოპოზიციური პარტიების დეპუტატების უმრავლესობა) შემოღება ჩიხური სიტუაციის სანინააღმდეგო მექანიზმით.⁷³ გარდა ამისა, პროფესიული ნიშნით დანიშნული საარჩევნო კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ უფრო მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია, რათა გაიზარდოს საზოგადოების ნდობა მათ მიმართ.⁷⁴

დასკვნაში ნათქვამია, რომ უმაღლესი საარჩევნო ორგანოს დაკომპლექტების შესახებ დებულებები არ შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და სტანდარტებს.⁷⁵ კერძოდ, პარლამენტმა უარი უნდა თქვას იმ ნორმებზე, რომელთა მიხედვითაც კომისიის წევრთა დანიშვნის უფლებამოსილება მხოლოდ იმ პარტიებს ექნებათ, რომლებიც საბიუჯეტო დაფინანსებას იღებენ და რომელთა სულ ცოტა ერთი წევრი ასრულებს დეპუტატის მოვალეობას.⁷⁶ ორგანიზაციების აზრით, მოცემული ცვლილებები კომისიის წევრობასთან მიმართებით, არ უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებს, რაც პარტიებს არაპროპორციულ მდგომარეობაში აყენებს.⁷⁷

ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით დასკვნა მიუთითებს, რომ კანონპროექტში არაა ნახსენები საჯარო მოხელეების მიერ სამუშაო საათებში სოციალური მედიის საარჩევნო კამპანიის ინტერესებისთვის გამოყენების საკითხი.⁷⁸ ვენეციის კომისიის და ეუთო/ოდირის რეკომენდაციით, საჭიროა ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენციის უფრო სრულყოფილი და სისტემური რეგულირება, რომელიც საჯარო სექტორის თანამშრომლებს, არასათანადო საქციელის შემთხვევაში, დისციპლინურ სანქციებს დააკისრებს.⁷⁹

ანგარიშმა დადებითად შეაფასა საარჩევნო უბნებთან 100 მეტრის რადიუსში პირთა შეკრებისა და ამომრჩეველთა გამოკითხვის აკრძალვა.⁸⁰ თუმცა, აქვე აღნიშნა, რომ ცვლილებების კანონპროექტი არანაირ სანქციას არ აწესებს ამ ქმედებისთვის, რაც ნორმის ეფექტიან აღსრულებას ხელს უშლის.⁸¹ დასკვნაში აღნიშნულია, რომ ეს რეგულაცია არ ასახავს ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის დიდი ხნის რეკომენდაციებს, რომ არჩევნებამდე 24 საათით ადრე აიკრძალოს ნებისმიერი ტიპის სააგიტაციო საქმიანობა.⁸²

დოკუმენტის მიხედვით, ხმების გადათვლისა და შედეგების გაბათილების შესახებ საკანონმდებლო ბუნდოვანება საფრთხეს უქმნის არჩევნების შემდგომი დავის გადანაცვების პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას.⁸³ ამასთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიისა და ეუთო/

⁷⁰ იქვე, paras. 10, 23-24.

⁷¹ იქვე, paras. 10, 23-24.

⁷² იქვე.

⁷³ Venice Commission, OSCE/ODIHR, *Joint Urgent Opinion on Draft Amendments to the Election Code*, para. 31, 34.

⁷⁴ იქვე, para. 33.

⁷⁵ იქვე, para. 35.

⁷⁶ იქვე, para. 35, 38.

⁷⁷ იქვე, para. 35-38.

⁷⁸ იქვე, para. 54.

⁷⁹ იქვე.

⁸⁰ იქვე.

⁸¹ Venice Commission, OSCE/ODIHR, *Joint Urgent Opinion on Draft Amendments to the Election Code*, para. 55.

⁸² იქვე.

⁸³ Venice Commission, OSCE/ODIHR, *Joint Urgent Opinion on Draft Amendments to the Election Code*, para. 62.

ოდირის რეკომენდაციაა უფრო სრულყოფილი და მკაფიო კანონმდებლობის მიღება, რომელიც ხმების გადათვლისა და შედეგების ბათილობისთვის ობიექტურ კრიტერიუმებს დაანესებს.⁸⁴

დასკვნის თანახმად, კანონპროექტი არ ითვალისწინებს საარჩევნო დავეების მოგვარების პროცესის მნიშვნელოვანი რეფორმირების საჭიროებას, რათა დავეები დროულად, გამჭვირვალედ და ეფექტიანად გადაიჭრას.⁸⁵ ანგარიშის ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება სასამართლოებში საარჩევნო დავებთან დაკავშირებული საჩივრების ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობას.⁸⁶ ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა დადებითად შეაფასეს საჩივრების წარდგენის ვადების გაზრდა, მათ აღნიშნეს, რომ ის მაინც არ ასახავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.⁸⁷ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რეკომენდებულია საჩივრის წარსადგენად მინიმუმ 3-5 დღის გათვალისწინება.⁸⁸

ადგილობრივ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, დოკუმენტი მიუთითებს, რომ შემოთავაზებული რეფორმა არ ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ მთავარ რეკომენდაციას, რომლის თანახმადაც ერთმანდატიანი ოლქები ამომრჩეველთა თანაბარ ან ერთნაირ რაოდენობას უნდა შეიცავდეს.⁸⁹

⁸⁴ იქვე.

⁸⁵ Venice Commission, OSCE/ODIHR, *Joint Urgent Opinion on Draft Amendments to the Election Code*, para. 64.

⁸⁶ იქვე, para. 65.

⁸⁷ იქვე, para. 67.

⁸⁸ იქვე.

⁸⁹ Venice Commission, OSCE/ODIHR, *Joint Urgent Opinion on Draft Amendments to the Election Code*, para. 74.